ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 29

სხდომის ჩატარების დრო:

27 მარტი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეცხრე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გრ.შუშანია, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან - 27 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: კ.გურული, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

სულ: 8 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი მ.კუბლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი,

ქალბატონი ე.გოგოლაშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქალაქის მე-17 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მოქალაქე ბ.ადამია.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე სხდომაზე **განცხადება** გააკეთა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ:** „ძალიან მნიშვნელოვანი დღე გვქონდა გუშინ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას და გთხოვთ, ჩვენს ფეხბურთელებს, რომლებმაც გუშინ თავი დადეს ჩვენი ქვეყნისთვის, თავიანთი საქმისთვის და მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანეს ჩვენ ქვეყანას, წამოვუდგეთ ფეხზე და დავუკრათ ტაში. ნამდვილად, დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, დატვირთულია ემოციებით. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გილოცავთ. ასევე, მივესალმები სკოლის მოსწავლეებს, მადლობა მათ, რომ ესწრებიან საკრებულოს დღევანდელ სხდომას, მედიის წარმომადგენლებს, ქალაქის მერს, მის მოადგილეებს, ყველას გისურვებთ წარმატებას. ვთვლი, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ არა ერთი მიმართულებით მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს. ეს არის ქვეყნის ევროპული პერსპექტივა, კანდიდატის სტატუსი და გუშინ ჩვენი ფეხბურთელების მნიშვნელოვანი წარმატება. ჩვენი ქვეყანა არის ევროპის სრულფასოვანი წევრი თავისი ღირებულებებით, ფასეულობებითა და თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ იმ ისტორიით, რომელიც ჩვენმა წინაპარმა დაგვიტოვა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის სწრაფვა, იყოს და გახდეს ევრო კავშირის სრულფასოვანი წევრი, ნამდვილად არ არის შორეული პერსპექტივა და რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული, ჩვენ აფხაზ და ოს მეგობრებთან ერთად, აუცილებლად მიაღწევს განვითარების გზაზე მნიშვნელოვან წარმატებას.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2024 წლის 27 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს დაემატა მე-2 და მე-3 საკითხები. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგი გადაინომრა თავიდან**), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი მაგდა კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ სახელწოდების შეცვლის ცნობად მიღების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-სა (ნაკვეთები: №1; № 2; №2-1-1-1-1; № 2-1-2; № 2-2; №3; №4; №4 -1; №4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

6. გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ელეონორა გოგოლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 29-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2024 წლის 27 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-17 პუნქტი („მუხლი 90[1] . ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვა); აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-16 პუნქტის შემდეგ, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პუნქტები გადაინომრა თავიდან),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

აქვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ განმარტა: „ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არაერთხელ გვქონია მსჯელობა და საჯარო შეხვედრა პროგრამის მონაწილე პასუხისმგებელ პირებთან. მოგეხსენებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „USAID“ შეირჩა11 მუნიციპალიტეტი და მათ შორისაა ქალაქი ქუთაისი. უშუალოდ კვლევის დროს წარმოჩინდა, რომ გვჭირდებოდა მაქსიმალურად დაგვეხვეწა ის მექანიზმები, რომლებიც ეხება საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებას. რეალურად, ეს პროცესი იყო საკმაოდ ინკლუზიური და მასში, როგორც ვიცი, კვლევის პროცესში, მონაწილეობდა ოპოზიციის ნაწილი. ჩვენ, ასევე, ჩავრთეთ არასამთავრობო სექტორი, გავგზავნეთ კომისიების სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და რაც მნიშვნელოვანია, პროექტი წინასწარი ექპერტიზისათვის გავგზავნეთ მთავრობის ადმინისტრაციაში. მათგან მივიღეთ გარკვეული შენიშვნები. ამის შემდეგ,

განსაკუთრებული საქმიანობა გასწიეს საკრებულოს შესაბამისმა განყოფილებებმა: იურიდიულმა განყოფილებამ, სამდივნო განყოფილებამ, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ასევე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ამ პროექტში მონაწილე პასუხისმგებელ პირებს, იურიდიულ კომისიას და მარიამ ამბროლაძეს, რომელთანაც ძალიან შრომატევადი საქმიანობა შედგა ამ ორი თვის განმავლობაში. ჩვენ მივიღეთ ინსტიტუციური გაძლიერების ახალი მექანიზმი, რომელიც ეხება საკრებულოს. მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკრებულოს საზედამხედველო ნაწილი. ის არსებული მექანიზმები, რომელიც აქამდე იყო რეგლამენტში, ისედაც რჩება, ჩვენ გავაჩინეთ დამატებითი მექანიზმები მუხლებში, რომელიც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებამდე და მივიღებთ საკრებულოს, როგორც ინსტიტუციის, გაძლიერებას. აქვე, მინდა განვმარტო, რომ რეგლამენტი გახლავთ ჩვენი საკრებულოს კონსტიტუცია, რომლის ირგვლივაც ვმოქმედებთ, ვახორციელებთ სადეპუტატო უფლებამოსილებებს. ეს რეგლამენტი, როგორც წესი, სრულად გამომდინარეობს ორგანული კანონიდან და ყველა ის ნორმა, რომელიც მასშია ასახული, სწორედ შესატყვისია ორგანული კანონის. სხვა დამატებითი ახალი მექანიზმის შექმნის საშუალება, თუ ეს კომპეტენციით ჩვენ არ გვეკუთვნის, რეალურად არ არსებობს და ამის საშუალებაც არ გვაქვს. ეს დოკუმენტი ასევე გაეგზავნა არასამთავრობო სექტორსაც, მათი მხრიდან დამატებით რაიმე შენიშვნა ან მოსაზრება რეალურად არ ყოფილა წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, თუ რამე იქნება, ჩვენ მზად ვართ, ეს საკითხები განვიხილოთ დამატებით და შევიტანოთ ცვლილებები. ჩვენი პოლიტიკური გუნდი, საკრებულო, მზადაა ღიაა კომუნიკაციისთვის. ჩვენ მზად ვართ ყველა საკითხი, რომელიც მოქალაქეების საჭიროებებს ეხება, განვიხილოთ ნებისმიერ ფორმატში."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „პირველ რიგში, მოგესალმებით და მართლაც გილოცავთ ამ მნიშვნელოვან წარმატებას. ვულოცავ ჩვენს გუნდს, სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით გულშემატკივრებს. ეს ნამდვილად იყო თაობების

ოცნება. რეგლამენტთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მართლაც საინტერესო ცვლილებებია. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს უფლებამოსილებები გაიზარდოს. სამწუხაროდ, თვითმმართველობის კოდექსში ისეა გაწერილი, რომ ქალაქის მერის კეთილი ნების გარეშე, თუ არ იქნა გადადგმული შემხვედრი ნაბიჯები თანამშრომლობაში, ეს დარჩება ფურცელზე დაწერილი. მაგალითად, საბიუჯეტო და ეკონომიკის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ჩაიწერა რეკომენდაცია ერთ-ერთი აიპისათვის ინვენტარის შეძენაზე, მაგრამ ააიპ-მა განაცხადა, რომ ეს თანხა გამიზნული იყო სხვა რამისთვის. ისეთი შეგრძნებაა, რომ ეს რეკომენდაციები ხშირად არ არის აღსრულებადი. ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. კარგია, რომ ქალაქის მერიც გვესწრება და მაინტერესებს არის თუ არა მისი მხრიდან მზაობა, რომ საკრებულომ ნამდვილად შეასრულოს ზედამხედველობის ფუნქცია. მე, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ ამ ცვლილებებს, ნამდვილად კარგი ცვლილებებია, მაგრამ მთავარია ეს არ დარჩეს ფურცელზე დაწერილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვიქნები აბსოლუტურად სუბიექტური და ჩემ აზრს დავაფიქსირებ. რიგი მუხლები საჭიროებს გარკვეული ფორმით გაძლიერებას, დაზუსტებას. მე არა ერთხელ მომიყვანია მაგალითი იგივე აუდიტის ნაწილში. მოგეხსენებათ, რომ დედაქალაქის თვითმმართველობას გააჩნია სხვა უფლებამოსილებები. მას ყავს მთავრობა და ამავდროულად, აუდიტის მიმართულებით სხვა ჩანაწერი არსებობს. ეს არის სრულად საკრებულოს კომპეტენცია და მათ შორის, აუდიტის სამსახურის უფროსი ირჩევა საკრებულოს მიერ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენი პოზიცია ისედაც ცნობილია და თქვენი ძალისხმევაც ამ საკითხში დიდია, მაგრამ ჩემი კითხვა უშუალოდ მიმართული იყო ქალაქის მერისკენ. მაინტერესებს, რამდენად არიან ისინი მზად ამ ცვლილების შემდეგ ითანამშრომლონ საკრებულოსთან და შეასრულონ ის მუხლები, რომლებსაც ეხლა მივიღებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აუდიტთან დაკავშირებით არსებობს სუბიექტური მოსაზრებები. საკრებულოს იურიდიულ კომისიას არა ერთხელ ჰქონია მსჯელობა ამ საკითხებთან დაკავშირებით. რაღაც ფორმით ჩვენ შეგვიძლია დავამუშაოთ საპარლამენტო ინიციატივა, წარვუდგინოთ შესაბამის დარგობრივ კომისიას და ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. ზოგადად, მიმაჩნია და გეთანხმებით, რომ თვითმმართველობის კოდექსის რაღაც ნაწილი არის გასავითარებელი, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ დღეს ქვეყანაში გვქვს. იცით, რომ გვაქვს დეცენტრალიზაციის სტრატეგია, ძლიერდება დეცენტრალიზაციის ნაწილი და ამ სტრატეგიით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია უფლებრივ ნაწილზე. არა ერთხელ გამიკეთებია კომენტარი დეცენტრალიზაციის ფისკალურ, ქონებრივ ნაწილზე. იცით, რომ გაიზარდა პროცენტული მაჩვენებელი სახელმწიფო ქონების გასხვისების შედეგად და ასე შემდეგ, მაგრამ არის ისეთი დეტალები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მოგესალმებით ყველას, კიდევ ერთხელ მინდა შევუერთდე მილოცვებს და წარმატება ვუსურვო ჩვენს გუნდს უკვე ევროპულ ასპარეზზე. საქართველო უკვე ევროპაშია და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები თავის სათქმელს კიდევ იტყვიან. აქვე მინდა გითხრათ ერთი სასიხარულო ამბავი. გუშინ, ოპერის თეატრში გაიმართა ცნობილი კომპოზიტორის იოსებ კეჭაყმაძის 85 წლის საიუბილეო საღამო, სადაც ჩვენს კამერულ გუნდს მიენიჭა იოსებ კეჭაყმაძის სახელი. რაც შეეხება საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებებს, ჩვენ გვაქვს მერიისა და საკრებულოს თანამშრომლობის კარგი მაგალითები, როგორც ანგარიშის წარდგენის, ასევე, კომისიური მუშაობის კუთხით. აქედან გამომდინარე, მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ ამ კუთხით თანამშრომლობაში. შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ამაზეც ჩამოვყალიბდებით და შევჯერდებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მეც ვულოცავ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამ წარმატებას. ნამდვილად ემოციური იყო გუშინდელი მათი გამოსვლა. საკმაოდ მნიშვნელოვანი და კარგი კონცერტი გაიმართა. უშუალოდ მის უფროსს, ქალბატონ ირინას ვულოცავ ამ

წარმატებას და აღიარებას. ნამდვილად ეტყობა ამ გუნდს გამორჩეული პროფესიონალიზმი და თვისებები, რომელიც ქალაქის ამ მასშტაბის გუნდს უნდა ჰქონდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის **№93 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №93** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

აქვე, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** აღნიშნა: „მეც ვულოცავ საქართველოს იმ ბედნიერ დღეს, რომელიც გვქონდა გუშინ. ძალიან დამაიმედებელი იყო ის ერთობა, რომელიც იგრძნობოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ძალიან ამაყები ვართ ჩვენი გუნდით, ვინაიდან, ეს ერთობა იგრძნობოდა არა მარტო შიგნით, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გავაკეთებ მცირე კომენტარს. აღნიშნული დებულების ცვლილებაში 2017 წლიდან გათვალისწინებულია ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც საერთაშორისოდაა მიღებული და ვალდებულების სახით გვაქვს განსაზღვრული, რათა ადგილობრივ დონეზე განვიხილოთ. თითქმის ყველა ორგანიზაციის რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული მიმდინარე დებულების ფორმირების დროს. დიდ მადლობას გიხდით ბატონო ირაკლი, პირადად თქვენ, საბჭოს წევრებს, მხარდაჭერისა და საბჭოს საქმიანობაში დიდი წვლილის შეტანისთვის.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ინსტიტუციური გაძლიერების კვალდაკვალ, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭომ ამ პერიოდის განმავლობაში გაიარა, ეხება სტრატეგიას, სამოქმედო გეგმებს, ფისკალურ ნაწილს გენდერული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. მინდა მადლობა გადავუხადო აღმასრულებელ რგოლს და უშუალოდ ბატონ მერს, ამ პოლიტიკის მხარდაჭერისთვის. მე მიმაჩნია, რომ საბჭო, როგორც საკრებულოში არსებული ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუცია, ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს ამ მიმართულებით და ვფიქრობ, რომ ის დებულება, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი (მე ვიცი, რომ ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი), ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი განმარტებებით. მინდა კიდევ ერთხელ, ჩემი სრული მხარდაჭერა დავაფიქსირო და ვუსურვო წარმატებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, **მაგდა კოსტავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება № 94** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ სახელწოდების შეცვლის ცნობად მიღების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენი ძალისხმევა ამ საკითხთან მიმართებით ცალკე აღნიშვნას მოითხოვს და მადლობა თქვენ ასეთი გამორჩეული კომპეტენციისთვის. მათ შორის, იმისთვის, რომ ახალ პარტიას, რაღაც ფორმით, უწევდით იურიდიულ კონსულტაციებს ამ პერიოდის განმავლობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“): „მე არ

ვესწრებოდი იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომას. ჩვენ, წინა სხდომაზეც დავუჭირეთ მხარი ამ ფრაქციაში განხორციელებულ ცვლილებებს, მართალია, ისინი არ ესწრებოდნენ და ჩვენ გადაწყვეტილება მათ გარეშე მივიღეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „წინა სხდომაზე, საკრებულომ ცვლილება შეიტანა ფრაქციის შემადგენლობაში, რადგან ფრაქციიდან გავიდნენ წევრები, ბატონები: გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე, ქალბატონები: ანა კოხრეიძე და ხათუნა არველაძე. ამჟამად, ისინი საკრებულოში წარმოდგენილი არიან როგორც უფრაქციო საკრებულოს წევრები. ფრაქციაში დარჩა 7 წევრი. ამის შემდეგ, მათ ცვლილება შეიტანეს ფრაქციის წესდებაში და მიიღეს გადაწყვეტილება ფრაქციისათვის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. ჯერ, იურიდიულ საკითხთა კომისიამ, ხოლო შემდეგ ბიურომ, ცნობად მიიღო ფრაქციის სახელწოდების შეცვლის საკითხი. ფრაქციას ეწოდა „პროგრესის პლატფორმა“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, ბატონი გიორგი კილაძე. მოადგილეებად - საკრებულოს წევრები: გაგა მანაგაძე და ქეთევან ხურციძე. აი, ეს ცვლილებები წარმოგიდგინეთ დღევანდელ სხდომაზე“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რეგლამენტი და კანონმდებლობა ფრაქციის შემთხვევაში იცნობს ასეთ ნორმას: ერთ შემთხვევაში საკრებულოს წევრ დეპუტატებს, რომლებიც ერთი პარტიის მიერ არიან წარდგენილნი, შეუძლიათ დააფუძნონ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფრაქცია, ხოლო ფრაქციის დაფუძნებას აქვს შესაბამისი წესები და ნორმები, რომელიც ორგანული კანონითა და საკრებულოს რეგლამენტითაა განსაზღვრული. საკრებულოს რეგლამენტი ერთ შემთხვევაში იცნობს ფრაქციის გაუქმებასა და ახლის შექმნას, ხოლო მეორე შემთხვევაში, ფრაქციის შესაბამის ჯგუფს შეუძლია შეიტანოს ცვლილება ფრაქციის წესდებაში. წესდების ნაწილია სახელწოდების ცვლილების საკითხიც. თუმცა, ამ შემთხვევაშიც სჭირდება თავმჯდომარისა და მოადგილეების არჩევა, რომელიც კვოტირებულია და გამომდინარეობს წევრთა რაოდენობიდან. ბატონებმა აირჩიეს მეორე გზა და დამატებითი კონსულტაციების შემდეგ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ

ცვლილებები შესულიყო ფრაქციის წესდებაში. დამატებით და პოლიტიკურ შინაარს ამ საკითხს არ მივცემთ, ვინაიდან, ეს მათი თემაა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გ.შუშანია, ა.კოხრეიძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ სახელწოდების შეცვლის ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება №271** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების **ანგარიში** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აღნიშნული საკითხი კომისიურ ფორმატში განხილული გვაქვს, ასევე, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს წარმოდგენილ იქნა 2023 წლის ბიუჯეტის

შესრულების ანგარიში. ამ პროცესში ჩართული იყო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელიც უშუალოდ იყო შეხვედრის ორგანიზატორი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მე მინდა, მადლობა გადავუხადო მერიის საფინანსო სამსახურს იმ შესრულებული სამუშაოსათვის, რომელსაც ისინი წლებია ასრულებენ. ამის მკაფიო დადასტურებაა ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული დამატებითი ასიგნებები ეგრეთ წოდებული გრანტისა და ჯილდოს სახით. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას აქტიური თანამშრომლობისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე, არა ერთხელ აღმინიშნავს და კიდე ერთხელ დავაფიქსირებ, რომ თანამშრომლობის ფორმატში კეთილია ამ სამსახურის დამოკიდებულება საკრებულოსთან მიმართებაში. ამ დამტკიცებული რეგლამენტით კიდევ უფრო იზრდება დარგობრივი კომისიის ურთიერთობა ამ სამსახურთან, როგორც ბიუჯეტის ფორმირების, ასევე, ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშგების ნაწილში. ვფიქრობ, რომ ეს თანამშრომლობა დარჩება სამაგალითო და კიდევ უფრო გაძლიერდება. ის მექანიზმები, რომლებიც შემოდის საზედამხედველო ნაწილში, არ ნიშნავს იმას, რომ რამე ფორმით იქნება ჩასაფრებული პოზიცია, მით უმეტეს, როცა ჩვენ გვაქვს ერთიანი პასუხისმგებლობა, როგორც ერთიან პოლიტიკურ გუნდს. დამერწმუნეთ, რომ ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა მოქალაქეებს ექნეთ სწორი და შესაბამისი ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯვით და შესრულების ნაწილზე.“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 27 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ“; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად და დამტკიცდეს დანართის შესაბამისად“**), ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ა.კოხრეიძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ბატონი გრ.შუშანია, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა,), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის **№272 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება №272** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-სა (ნაკვეთები: №1; № 2; №2-1-1-1-1; № 2-1-2; № 2-2; №3; №4; №4 -1; №4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის,**

იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საკრებულოს წინა სხდომაზე ჩვენ ვისაუბრეთ ასათიანის ქუჩაზე და კარგი იყო, რომ საკრებულოში მიმდინარეობდა ამის განხილვა. როგორც ქალბატონი პრეზიდენტი ამბობს: „დეტალებშია ეშმაკი დამალული“. ჩავხედე ამ დოკუმენტებს და აღმოვაჩინე, რომ წინა გეგმაც და ეს გეგმაც შედგენილია ერთი და იგივე კომპანიის მიერ, რომელიც შექმნილია 2023 წლის 15 ნოემბერს. ანუ ახალი, სახელდახელოდ შექმნილი კომპანიაა. ეს ბადებს კითხვებს, ხომ არ არის რამე სქემა, რომლითაც ამ კომპანიის შემქმნელები კერძო პირებს უშვებენ ამ კომპანიასთან? ქალაქში შემოდის ორი სუპერ პროექტი, რომლის ფინანსური დანახარჯები ძალიან დიდი იქნება და ამის შემსრულებელი არის ერთი და იგივე კომპანია. ბევრი ხარჯია, რომელიც შეიძლება ავარიდოთ სამშენებლო კომპანიას, მაგრამ ეს რგოლი გაჩენილია იმისათვის, რომ ეს ფული მივიდეს ერთი და იმავე ადგილზე. არაფერს ყურადღებას არ მივაქცევდი, ჩვეულებრივად განვიხილავდით, მაგრამ არის ორი მსხვილი პროექტი, ორივეზე ერთი და იგივე კომპანიაა და შემსრულებლებიც ერთი და იგივეა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“): „ამ თემით საკმაოდ დიდი ხანია ვარ დაინტერესებული. მე წარმოვადგენ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკას, რომლის ტერიტორიაც არის 3 ჰექტარი. ფაბრიკა აშენებულია კომუნისტების

დროს და გათვლილი იყო 2000 კაცზე. ახლა სხვა მოცემულობით ვმუშაობთ. მიუხედავად ამისა, ამ ტერიტორიას არ შევხებივართ, არაფერი მოგვიკლია, მაგრამ საკმაოდ ძვირი გვიჯდება მისი შენახვა. მიწის გადასახადი, ეზოს მოვლა, ნაგვის გატანა, მებაღეები, დამლაგებლები და ტერიტორია ფაქტობრივად გამოუყენებელია. მე ერთი წლის წინ დავინტერესდი და დავიწყე „გდგ-ზე“ ფიქრი, მოვიკითხე და ქალაქში მაინცა და მაინც ვერ გამიწიეს რეკომენდაცია ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ სამუშაოს შემსრულებელი. ერთზე მითხრეს, რომ შეიძლება გაეკეთებინა, შევხვდი, თანხაც არ მომეწონა და გამოცდილებაც არ ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ კვლავ მივუბრუნდი ამ თემას და ამ ეტაპზე ორმა ფირმამ აიღო პასუხისმგებლობა, რომ შეძლებდა დამკვეთის მიერ მიცემული დავალების შესრულებას. ერთი ის ფირმაა, რომელიც ახლა ფიგურირებს და მეორე სხვაა, რომელზეც მე შევაჩერე არჩევანი. თანხობრივად დიდი სხვაობა არ იყო, მაგრამ იყო ჩემთვის ნაცნობი არქიტექტორები, რომლებსაც ვენდობოდი. მე აქ განსაკუთრებულ უბედურებას ვერ ვხედავ. არ არის ქუთაისის პირობებში ამ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ფირმა, ვინაიდან მას ბევრი მოთხოვნები აქვს შესასრულებელი. იქ არის სამი ეტაპი გასავლელი, კონცეფციით დაწყებული თბილისთან, ქუთაისთან ურთიერთობით გაგრძელებული. რაც მთავარია არქიტექტორებმა უნდა შექმნან იმ შენობების კონტურები, რომლებიც დაიდგმება და ამას სჭირდება ძალიან კარგი ხედვა და თვალი. კიდევ ვიმეორებ, ასეთი ფირმების ცვენა არ არის ქალაქში და თუ ვინმე აიღებს ამ პასუხისმგებლობას, ძალიან კარგი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ბატონო გიგა, რამდენიმე წლის წინ, ქალაქში უნდოდათ განეხორციელებინათ ორი „გდგ-ს“ პროექტი, მაგრამ არ აღმოჩნდნენ კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ამ თემას მიიყვანდნენ ბოლომდე. ახლა გამოჩნდა კომპანია, ნამდვილად იმედის მომცემი ახალგაზრდები არიან, რეკომენდაცია გაუწიათ ეკონომიკის სამინისტრომაც, ვინაიდან რამდენიმე პროექტი აქვთ გაკეთებული. დაველოდოთ, როგორ შეასრულებენ სამუშაოს. ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს ვუთხრათ, რომ არ შემოიტანონ განაცხადი და

ნამდვილად იმედის თვალით ვუყურებთ. ქალბატონმა მაიამაც თქვა, რომ ქუთაისში არ ვართ განებივრებული ასეთი კომპანიებით. საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ამას ერთი და ორი ფურცლის მომზადება არ სჭირდება მხოლოდ, სამი ეტაპია გასავლელი და დროც საკმაოდაა საჭირო."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია „ჩვენ რა შუაში ვართ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „სწორედ მაგას მოგახსენებთ. არაფერი ესაქმება არც არქიტექტურის სამსახურს და არც მერიას ვინ შეასრულებს სამუშაოებს, ჩავარდება თუ არა პროექტი, ეს არის იმ კომპანიის პასუხისმგებლობა. ორი პროექტი ხორციელდება და ორივეს აკეთებს ერთი და იგივე კომპანია, დავსვი კითხვა და მივიღე პასუხი, რომ ეკონომიკის სამინისტრომ გაუწია რეკომენდაცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მესმის რა კონტექსტშიც ახსენეთ ეს საკითხი, მაგრამ მაგალითად, მე როგორც დეველოპერი თუ ავირჩევ კონკრეტულ ფირმას, გადავუხდი მას შესაბამის საფასურს, რომ დაამუშაოს „გდგ" კონკრეტული მიწის ნაკვეთზე და დავავალებ ამ მომსახურებას შესაბამისი ხელშეკრულებითა და უზრუნველყოფით, აქ ჩვენ რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ? მესმის საუბარი თქვენ საით მიგყავთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ამ კომპანიას თუ დავუკვეთავთ, მისი ნებართვები ძალიან კარგად მტკიცდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ საკითხის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს. კონცეფციის დამტკიცება იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ამაში ბატონო გიგა თქვენც იღებდით მონაწილეობას, მაგრამ მხარი არ დაუჭირეთ და ამ პასუხისმგებლობაში არ შემოხვედით. რაც შეეხება „გდგ-ს", ამ კონცეფციიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს არის კერძო

დეველოპერისა და მეორე მხარეს მყოფი ადამიანის კონკრეტული ურთიერთობა. ფირმის სახელიც არ ვიცი, იქნებ თქვენ იცით ბატონო გიგა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ფირმის სახელია „ზიარ არქიტექტურა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ა.კოხრეიძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა: გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, გ.შუშანიამ, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **მამუკა კუბლაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-სა (ნაკვეთები: №1; № 2; №2-1-1-1-1; № 2-1-2; № 2-2; №3; №4; №4 -1; №4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის №96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №273** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 27 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულა და პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ელეონორა გოგოლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, ა.კოხრეიძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის, **ელეონორა გოგოლაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის **№ 274 განკარგულების** პროექტში.

(„გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №274** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ **განცხადება** გააკეთა მოქალაქე **ბესიკ ადამიამ:** „მეგობრებო, პირველ რიგში თქვენთან ერთად ვიზიარებ იმ დიდ სიხარულს, რაც ჩვენმა ბიჭებმა ოქროს ასოებით

ჩაწერეს ისტორიაში, ყოჩაღ და მადლობა მათ. მინდა გითხრათ, რომ ბუდუ ზივზივაძის მამა დამპირდა „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტთან მისი შვილის, ბუდუს მოწვევას. ასევე, გაცნობებთ, რომ „მშვიდობის ჰალსტუხი“ გავუგზავნე იტალიაში საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ პრეზიდენტს თხოვნით, რომ ხვიჩა კვარაცხელიას გადასცეს ჩვენი, ქუთათურების სურვილი „მშვიდობის ბურთთან“ მისი სტუმრობის შესახებ. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ქალაქის მერიაც, ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს, ადრე თუ გვიან. მეგობრებო, სწორედ ასეთ ქუთაისლებს გაუმარჯოთ, რომლებიც დღე და ღამე ზრუნავენ ქუთაისზე, ზრუნავენ და ცდილობენ გააკეთონ სიკეთე. ჩემი მეგობრის შვილი, ახალგაზრდა ქალბატონი და ერთი შვილის დედა მარიამ სინატაშვილი, რომელმაც ქუთაისში დაამთავრა საჯარო სკოლა, ბათუმში გათხოვდა და იქ ცხოვრობს. მას მოსწონს, რომ ბათუმი მშვენდება, მაგრამ გამოხატა სურვილი ქუთაისშიც იხილოს სიახლეები და არ ჩამორჩეს ბათუმს. მეგობრებო, ქუთაისმა ხალხის, მოსახლეობის რაოდენობით საქართველოში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენი შინაგანი ენერგია მოგვცემს შესაძლებლობას ქუთაისმა დაიბრუნოს რაოდენობითაც და სხვადასხვა ღირსებითაც თავისი ისტორიული ადგილი. „მშვიდობის ჰალსტუხზე“ მინდა გითხრათ, რომელიც გაეროს ეგიდით „მსოფლიო მშვიდობის“ დღეს მივუძღვენი, რაც ყოველი წლის 21 სექტემბერს აღინიშნება. მინდა გაჩვენოთ ჰალსტუხზე წარწერები: ქართულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ, ივრითულ, ინგუშურ ენებზე. მინდა, რომ მშვიდობა იყოს მთელს მსოფლიოში და მე როგორც რიგითმა ქუთაისელმა, ჩემი წვლილი შევიტანო ამ დიდ საქმეში. მინდა გითხრათ, რომ ეს „მშვიდობის ჰალსტუხები“ საჩუქრად, საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციას, მასმედიას, უცხოეთშიც მსოფლიო მშვიდობისათვის ბევრს გავუგზავნე და ერთ-ერთი პირველი, ქალაქის მერი, ბატონ იოსებ ხახალეიშვილია. მინდა ჩემს მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვაზე გადავიდე და ყურადღება ქუთაისის მერიის, საკრებულოსა და სამოქალაქო საზოგადოების დამსახურებაზე გავამახვილო, რომელთა მხარდაჭერითაც „ტორპედოს“ სტადიონთან „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტი დაიდგა. ჩემ მიერ წარმოდგენილი მესამე პროექტი ადრეც გაჟღერდა, როდესაც საკრებულოს სხდომები აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დროებით იმართებოდა.

საკითხებს, რომლებიც მოწონებას იმსახურებს, რეალიზებამდე სრული მხარდაჭერა სჭირდება და ჩემი გამოსვლა ორიენტირებულია არა მოხსენებისათვის, არამედ, მოხსენება შედეგისათვის. პირველი საკითხი შეეხება „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტის უკან, 3 მილზე საქართველოს, ევროკავშირისა და გაეროს დროშების აღმართვას, „ტორპედოს“ სტადიონის უბნელების თხოვნას. იქვე 2,3,4 სართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები შეკეთდა, მოსახლეობის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას და უნდა აღვნიშნო, რომ ამით უბანი ძლიერ დამშვენდა. მე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქუთათურების სახელით „მშვიდობის ჰალსტუხი“ გაეროს გენერალურ მდივანს, რომელსაც წელს 30 აპრილს 75 წელი უსრულდება, საჩუქრად აშშ–ში გავუგზავნე. მსოფლიოში ალბათ, პირველი ვარ, რომელმაც ესოდენ დიდი რანგის პიროვნებას დაბადების დღე 2 თვით ადრე, ძვირფასი საჩუქრით მივულოცე და რომ ამას, მხოლოდ ჩემი სახელით არ ვაკეთებ. მისალოც წერილში, ქუთაისის მერის, ბატონ იოსებ ხახალეიშვილისა და ქუთათურების სახელით, ერთობლივი მილოცვა დავაფიქსირე. ვიმედოვნებ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ესოდენ დიდი სტრუქტურის წარმომადგენელს, გაეროს გენერალურ მდივანს, თავისი მხრიდანაც მიულოცავს დაბადების დღეს. მეორე ძირითადი საკითხი ეხება ქუთაისის ისტორიული „ბალახვნის“ უბნის ცენტრში, უძრავ კუნძულზე, ხმლის წარმოჩენას, როგორც სიმბოლო საქართველოს ისტორიის, ვაჟკაცობის, კაცობის, მეობის, რომელიც დიდ როლს ითამაშებს მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. ეს იდეები ოდესღაც რეალიზებული გახდება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ეს პროექტები ახლანდელი საკრებულოსა და მერის, ბატონ იოსებ ხახალეიშვილის დროს განხორციელდება. ადრე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა, გუბერნატორის თანდასწრებით, ბალახვნის უბნის ცენტრში ხმლის იდეა მოიწონა და გაკეთებაში მხარდაჭერა აღმითქვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „რიგი საკითხები მართლაც ადვილად არ გვარდება.“

მოქალაქე **ბესიკ ადამია:** „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტიც ადვილად არ კეთდებოდა, მაგრამ ხალხის ძალამ, აქციებმა გამოიღო შედეგი და მონუმენტი მაშინდელი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით დაიდგა, რისთვისაც მადლიერებას გამოვხატავ. სასურველია ჩატარდეს საზოგადოებრივი გამოკითხვა, შეიქმნეს სპეციალური საბჭო, რომელიც განიხილავს წარმოდგენილ ადგილებზე სხვადასხვა იდეებს. შედგეს „ტენდერი“ და ქალაქს შეემატოს ლამაზი და საინტერესო სიახლეები. ადრე, ქალაქის მერთან, ბატონ იოსებ ხახალეიშვილთან, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთად ვმუშაობდი და ვიცი, მას ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული. მე მისადმი უმადური არასოდეს ვიქნები. მე ალბათ, ხელისუფლებისადმი მიწერილი წერილების რაოდენობით, გინესების წიგნში შევიდოდი. ჩემი ოცნება იყო ადრინდელი ქუთაისის მერებთან, ბატონებთან: შოთა მურღულიასთან, გიორგი ჭიღვარიასთან და ახლა თქვენთან შეხვედრა. ვთვლი, რომ სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან მეტი კომუნიკაცია აუცილებელია. „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტი 5 წელია დგას და მას ქუთაისიდან და თბილისიდან მაღალჩინოსნები არ სტუმრობენ, რასაც ვერ ვიტყვი ვიცე მერზე, ბატონ დავით ერემეიშვილზე და ნიკუშა ჩეჩელაშვილზე. მუდმივი არაფერია, ბინებზე ფასადები გადაიღებება, ავტობუსებიც გამოიცვლება, მაგრამ მონუმენტალური ქმნილებები სამუდამოდ დარჩება და დარწმუნებულ ვარ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი იოსებ ხახალეიშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია აღნიშნულ თანამდებობებზე არ ყოფნის შემდეგ, იამაყებთ ამ პროექტების შესრულებით ისე, როგორც ამაყობს „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტის დადგმით, ყოფილი ქუთაისის მერი, ბატონი გიორგი ჭიღვარია. მესამე პროექტი შეეხება „ტორპედოს“ სტადიონთან ახლოს, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ახალგაზრდობის პარკის წინ, ავტობუსების გაჩერების მარჯვნივ, მწვანე სკვერში, ეკოლოგიის მხარდამჭერი ნიშნის, ჟანგბადის ფორმულა „O2 - ში“ ჩასმული მწვანე ფოთლის მონუმენტის დადგმას, თან აღვნიშნავ, რომ ფოთოლი ნეკერჩხლისაა, როგორც ჟანგბადის გენერატორი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზაქრო მამასახლისი**: „რადგან ქუთაისის გარშემო უამრავი მუხის ხეებია, შეიძლება თუ არა, რომ ეს ფოთოლი იყოს მუხის?“

მოქალაქე **ბესიკ ადამია:** „გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიმინდია. მინდა გადმოგცეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპასუხო წერილები, სადაც ეკოლოგიის მხარდამჭერი ნიშანი მოწონებული და მხარდაჭერილია. დასასრულს, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ წარმოდგენილი პროექტები მხარდაჭერილი იქნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი იოსებ ხახალეიშვილისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას მიერ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 29-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:55:04 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.